



სალოგოზო ვეროელი

გაზეთი გამოდის
1921 წლიდან

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კაპ.



მსოფლიო მშვიდობიანი გზით

შიდა ქართლში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით 10 იანვარს თბილისში, მთავრობას სახლიდან ქალაქის პედაგოგიური საზოგადოებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის ინიციატივით გაიმართა პრაგმატული მიტინგი.

მიტინგი გახსნა თემურ ქორიძემ, შემდეგ სიტყვით გამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდი, რომელმაც კერძოდ აღნიშნა, რომ შიდა ქართლში ამჟამად მდგომარეობას მთლიანად ქართული მილიცია აკონტროლებს. იქ ჩავიდნენ, აგრეთვე, ავღანეთის ომის ვეტერანები, რომლებიც ყველა ღონის ზმარობენ მდგომარეობის სტაბილიზაციასთვის. რაც შეეხება მედესანტებს, ისინი იქ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლობამ სამხედრო ობიექტების დასაცავად გადასხა. ცხადია, — თქვა ბოლოს ბატონმა ზვიად გამსახურდიამ, — შიდა ქართლში მდგომარეობა რთულია, მაგრამ ყველა ერთად ყველაფერი უნდა

ვიღონოთ მისი მშვიდობიანი განმუხტვისათვის.

ასეთივე იყო შემდგომ სიტყვით გამოსულთა საერთო განწყობილება. ზოლო საზოგადოება „სენათის“ პრეზიდენტმა ლია ცინდელიანმა ხაზგასმით მოუწოდა რესპუბლიკაში მცხოვრებ ყველა არაქართველს მარტო სიტყვით კი არა, საქმით დაამტკიცონ, რომ მართლაც ქართველების გვერდით დგანან.

სწორედ ამის დასტურად შეიქმნა ჩვეთვალთ მოგვიანებით მთავრობის სახლიდან გამართული მეორე მიტინგი, რომელიც უკვე ქალაქის არაქართველი მოსახლეობის ინიციატივით გაიმართა. სიტყვით გამოსულებმა გამოთქვეს სურვილი და მზადყოფნა ქართველების გვერდით დგომისა. მიტინგის მონაწილეებმა საპროტესტო წერილი გაუგზავნეს სსრკ პრეზიდენტს.

ოლეგ ვაქლიანი და სპ. ივნიშვილი ფოტოები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, რომელიც გაეცხო სსრ კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულებას, მიიჩნევს:

1. სსრ კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულება, რომელიც არ ცნობს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 11 დეკემბრის კანონის იურიდიულ ძალას, ანტიკონსტიტუციურია შემდეგ გარემოებათა გამო:

ა) საქართველოს რესპუბლიკის კანონის იურიდიული ძალის უარყოფა არ შეუძლია სსრ კავშირის ხელისუფლების არც ერთ ორგანოს, რადგან, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და სსრ კავშირის კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს რესპუბლიკა სუვერენული სახელმწიფოა და თავისი საზღვრების ფარგლებში ახორციელებს ტერიტორიულ უზენაესობას (საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 70-ე მუხლი და სსრ კავშირის კონსტიტუციის 78-ე მუხლი), რომლის ძალითაც რესპუბლიკის კანონები და სახელმწიფო ხელისუფლების სხვა აქტები განუხრებლად უნდა შეასრულოს საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანომ, საწარმომ, დაწესებულებამ და ორგანიზაციამ;

ბ) საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და სსრ კავშირის კონსტიტუციის თანახმად რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უფლება აქვს გადაწყვიტოს ეროვნულ-სახელმწიფო მოწყობის ყველა საკითხი. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესმა ორგანომ ისარგებლა აღნიშნული უფლებით და გააუქმა თავის დროზე უკანონოდ შექმნილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, სადაც ამჟამად ექსტრემისტები და სეპარატისტები არა მარტო აშკარა დისკრიმინაციას უწევენ და ავიწროებენ იქ მცხოვრებ მკვიდრ მოსახლეობას, არამედ ცდილობენ საქართველოს მოსწყვიტონ ეს რეგიონი;

გ) სსრ კავშირის კონსტიტუცია ითვალისწინებს, რომ სსრ კავშირის უზენაესი საბჭო უფლებამოსილია დაამტკიცოს ახალ ავტონომიურ ფორმირებათა შექმნა (73-ე მუხლის მე-2 პუნქტი), ამ საკითხის გადაწყვეტა კი მოკავშირე რესპუბლიკის პრეროგატივაა (საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 72-ე მუხლის მე-3 პუნქტი). ავტონომიური ოლქის გაუქმების ფაქტის დამტკიცების საკითხი არ დასმულა სსრ კავშირის სახელმწი-

ფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს წინაშე, ვინაიდან ამგვარი წესი არ არის გათვალისწინებული არც სსრ კავშირის კონსტიტუციით და არც საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციით. „სსრ კავშირისა და ფედერაციის სუბიექტებს შორის უფლებამოსილებათა გამოწვევის შესახებ“ 1990 წლის 26 აპრილის კანონი, მთელი თავისი ანტიკონსტიტუციურობის მიუხედავად, ასევე არ ითვალისწინებს ავტონომიური ოლქის გაუქმების ფაქტის დადასტურებას.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭო ვალდებულია სსრ კავშირის კონსტიტუციის 87-ე მუხლიდან ამოიღოს დებულება საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ყოფნის შესახებ და ამით სსრ კავშირის კონსტიტუცია შეუსაბამოს იურიდიულ და ფაქტობრივ სინამდვილეს.

2. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო არ აკნინებს ეროვნებისა და ხალხების თვითგამორკვევის უფლებას სახელმწიფოებრივი ერთეულის შექმნის ჩათვლით, ამისთან დაუშვებლად მიიჩნევს ამ უფლების გავრცელებას საქართველოში მცხოვრებ იმ ეროვნულ უმცირესობებზე, რომელთაც საკუთარი სახელმწიფოებრიობა აქვთ საქართველოს ფარგლებს გარეთ. საერთაშორისო ხანძარიდან კი მათ ანიჭებთ მხოლოდ ეროვნულ-კულტურული ავტონომიის უფლებას და თანასწორ უფლებებთან ცხოვრების ყველა სფეროში (ადამიანის მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის 27-ე მუხლი, ახლახან მიღებული პარიზის ქართია ახალი ევროპისათვის და სხვა აქტები), რაც საქართველოში ყოველთვის იყო და არის უზრუნველყოფილი ყველა ერის წარმომადგენლებისათვის.

აღსანიშნავია ისიც, რომ ყოფილი ოლქის გარდა, სადაც 65 ათასი ოსი ეროვნების მოქალაქე ცხოვრობს, საქართველოს სხვა რაიონებში 100 ათასზე მეტი ოსი ეროვნების მოქალაქე სახლობს, რომლებიც ყველა სამოქალაქო და ეკონომიკურ-კულტურული უფლებებით სარგებლობენ.

3. მიუდებელია სსრ კავშირის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოსა და პირადად სსრ კავშირის პრეზიდენტის პოზიცია, ვინაიდან ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს სეპარატისტულ მოქმედებათა მთელი დროის განმავლობაში, როდესაც მან მიიღო საქართველოს ტერიტორიუ-

ლი დაქუცმაცებისა და მიმართული აშკარად ანტიკონსტიტუციური აქტები (1990 წლის 20 სექტემბერსა და 16 ოქტომბერს), საქავშირო ორგანოებმა არავითარი იურიდიული რეაგირება არ მოახდინეს. მხარი არ დაუჭირეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს და მის პრეზიდენტს, რომლებმაც საოლქო საბჭოს მოქმედებანი არაკონსტიტუციურად გამოაცხადეს სწორედ სსრ კავშირის კონსტიტუციის ძალით, რასაც ასე ხშირად იშველიებს სსრ კავშირის პრეზიდენტი.

თუ სსრ კავშირის კონსტიტუციას ვერწმუნებით, კავშირისა და უწინარეს ყოვლისა, სსრ კავშირის პრეზიდენტის ამოცანაა უზრუნველყოს სსრ კავშირის კონსტიტუციით განმტკიცებული მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა.

ხელისუფლების საკავშირო ორგანოები ფაქტობრივად აქეზებდნენ ოს სეპარატისტებს უკანონო ქმედებისათვის: ... 2 დეკემბრის უკანონოდ შექმნილ „რესპუბლიკაში“ არჩევნები მოეწყო. ამ შემთხვევაშიც სსრ კავშირის პრეზიდენტმა, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდენტმა და თვით უზენაესმა საბჭომაც დუმილი ამოჭობინეს.

სსრ კავშირის პრეზიდენტმა მხოლოდ მას შემდეგ მოახდინა რეაგირება, რაც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო იძულებული გახდა გაეუქმებინა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, რომელიც ფაქტობრივად გაუქმდა ავტონომიური ოლქის საქართველოსაგან დამოუკიდებელ რესპუბლიკად გარდაქმნის შესახებ საკუთარ საბჭოს გადაწყვეტილებით.

საგულისხმოა, რომ რეგიონში საგანგებო მდგომარეობის შემოღება განაპირობა საკავშირო ორგანოების მიმხედვლობამ, რითაც ისარგებლეს ოსმა სეპარატისტებმა, ქ. ცხინვალში მოკლეს და დაჭრეს საქართველოს რესპუბლიკის სამართალდამცველი ორგანოების რამდენიმე წარმომადგენელი, მიუხედავად იმისა, რომ იქ იმყოფებოდნენ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარები.

ექსტრემისტებმა, რომლებიც გრძობენ ცენტრის მხარდაჭერას, წესად გაითადეს თავდასხმა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებზე, რომელთაც ეკისრებოთ საგანგებო მდგომარეობის პირო-

(დასასრული მხ-33.)



საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება სსრ კავშირის პრაქტიკის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულების შესახებ

(დასასრული)

ბებში საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის ძირითადი ამოცანა, და მიეკუთვნება აპყავთ ისინი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 11 დეკემბრის „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის იურიდიული ძალა.

2. სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს წინაშე დასდეს სსრ კავშირის კონსტიტუციის 87-ე მუხლში შესაბამისი ცვლილებათა შეტანის საკითხი.

3. ცნობად იქნეს მიღებული, რომ სსრ კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულებამ უკანონოდ ცნო ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დემოკრატიული რევოლუციური კომიტეტი ე. წ. სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის შესახებ.

4. უკანონოდ იქნეს მიჩნეული ბრძანებულების მოთხოვნა რევიზიონიდან საქართველოს რესპუბლიკის მილიციის ქვედანაყოფთა გამოყვანის შესახებ, ვინაიდან ისინი საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედებენ და საზოგადოებრივ წესრიგს იცავენ კანონმდებლობის შესაბამისად.

5. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა განაგრძონ „ქ. ცხინვალში და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 12 დეკემბრის დადგენილებით მათთვის დაკისრებულ მოვალეობათა შესრულება.

6. მიჩნეულ იქნეს სსრ კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულება საქართველოს რესპუბლიკის საშინაო საქმეებში უზემ ჩარევად, მისი ტერიტორიაზე მთლიანობის ხელყოფად, რესპუბლიკისა და მისი ხალხის სუვერენულ უფლებათა უგულვებელყოფად, რაც ნათლად გამოვლინდა საქართველოს რესპუბლიკის ოფიციალური სახელწოდების დამახინჯებაშიც: ბრძანებულებაში გამოყენებულია ძველი დასახელება — საქართველოს სსრ.

7. ხელისუფლების უზენაესობისა და ტერიტორიული მთლიანობის უზემ ხელყოფა აუკრძალო დემოკრატიული წესით არჩეულ ხელისუფლების უზენაეს ორგანოს საკუთარი სამართალდამცველი ორგანოების მეშვეობით აკორტროლებდეს ჩვეყნის ტერიტორიის გარკვეულ ნაწილს; იმ შემთხვევაში, თუ რევიზიონი განლაგებული სსრ კავშირის შინაგანი ქარები ეცდებიან ძალის გამოყენებით დააჭოფებინონ საქართველოს რესპუბლიკის სამართალდამცველ ორგანოებს აღნიშნული რევიზიონი, ეს ქმედება შეფასებული იქნება, როგორც ცენტრის მიერ საქართველოს წინააღმდეგ ომის დაწყება; ამ აქციის შესაძლო შედეგების აღვის მსოფლიო საზოგადოებრივ ობს წინაშე მთელი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ საქართველოს უმაღლესი ხელისუფლებას და პირდაპირ სსრ კავშირის პრეზიდენტს.

8. ეს დადგენილება ძალაში შედის მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზ. გამსახურდია**

თბილისი, 1991 წლის 9 იანვარი.

ნუ ენახოთ საქართველო დაჩოქებული...

ქუთაისი. 9 იანვარი (საქინფორმის კორ. მაკა კლაძე). — ასეთი დედაბერი გასდევს იმ უამრავ დეპუტატს, რომელიც ქუთაისიდან იგზავნება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსადმი, ასევე მოსკოვში, სსრ კავშირის პრეზიდენტის სახელზე და რომლებშიც ერთსულსავე მხარს უჭერენ რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის სამართლიან გადაწყვეტილებებს.

ფიქრობთ, ამდენ ჰირამოვოლ ჩვენი ხალხს არაფერი გააკვირვებს. არც ცენტრიდან მოსული ბრძანებულება ყოფილიყო ჩვენთვის მოულოდნელი — უთბრეს საქინფორმის კორესპონდენტს ქუთაისელებმა მამუკა და ქეთევან მაჩიტაძეებმა. მთავარია, არ დაგუშვით პოლიტიკურად მცდარი ნაბიჯი. უბრავე უნდა შევიკრათ. უკან დასახვევი გზა აღარ არის, ჩვენს უკან ჩვენი შვილები და საქართველოს მომავალია. რაც შეეხება მიხეილ გორბაჩოვის „საშინაო ნობათს“, გეწამს, ივერიას ლეთისმშობელი არ გასწირავს და მკრებელის ისარი ბუმერანგის ვით ისევ მკრებელს დაუბრუნდება.

— ჩვენი ოჯახის ისტორია წვეთო წყალივით ჰგავს ათასობით ქართულ ოჯახის ბედს, — თქვა ქუთაისელმა ინჟინერმა მაკა შარვაშიძემ. — მასში მრავალად იყო რუსის ზიზტი, მუნჯაჯირობა, ოციანი თუ ოცდაათიანი წლები, შავბნელი იმპერიის გაუგონარი ბოროტების ამსახველი სხვა ტრაგიკული ფურცლები. პირისპირიანაში ურჩხულმა ზვარაკად ჩვენი გვარის სასუკეთესო წარმომადგენლებიც შეიჭრა, მაგრამ ეს როლი ნიშნავს, რომ მულერად გავტყდით. ჩვენ ჩვენი ისტორია და სამართლიანობა გვასაზრდოებს, ძალას გვამატებს იმის შეგნება, რომ ჩვენი წინაპრები იდგნენ ერთიანი და განუყოფელი საქართველოს სათავეებთან. ჩვენს წინაპრებს გულთი უტარებდათ ყველაზე უფიქრფესი განძი — ენა, მამული, სარწმუნოება. ჩვენი წინაპრები აღაუფლებდნენ ლოცვას სამშობლოსათვის ბიჭვინთაში, ბედიში, ალორამ და სხვადასხვა ადგილას. ჩვენი ყოველი წვეთი სისხლისა ჩვენს მამულს ეკუთვნის. მისია ჩემი ორი ვაჟიც, რომელთა ოცნება ქართული ეროვნული არმიის ოფიცრობაა.

სტამბის მუშაკების პროტესტი

9 იანვარს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამოცემული საბჭოთაო საინფორმაციო სააგენტოში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომელზეც აღმოსავლეთით დაგმეს სსრკ პრეზიდენტის მიხეილ გორბაჩოვის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანება, როგორც სუვერენული საქართველოს სახელმწიფო საქმეებში უზემ ჩარევა და ქართველი და ოსი ერების დაპირისპირების პირდაპირი მოწოდება. მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ გამოცემის მთლიანი დირექტორი ვახტანგ ეს-განჯია, ასოტამწყობი ლიადა ყურ-შიტაშვილი, დამკაბადონებელი ვაგიდ ჰასანოვი, ლინოტიპისტი ვალერი მჩელაძე, ელექტროკოსი გურამ ცერცვაძე, ოსტატი სერგო გრიგოლია და სხვები.

მიტინგი ჩატარდა აგრეთვე საგაზეთო კორპუსშიც. გამოცემის მთლიანი დირექტორი ვახტანგ ეს-განჯია, ასოტამწყობი ლიადა ყურ-შიტაშვილი, დამკაბადონებელი ვაგიდ ჰასანოვი, ლინოტიპისტი ვალერი მჩელაძე, ელექტროკოსი გურამ ცერცვაძე, ოსტატი სერგო გრიგოლია და სხვები.

მიტინგი ჩატარდა აგრეთვე საგაზეთო კორპუსშიც. გამოცემის მთლიანი დირექტორი ვახტანგ ეს-განჯია, ასოტამწყობი ლიადა ყურ-შიტაშვილი, დამკაბადონებელი ვაგიდ ჰასანოვი, ლინოტიპისტი ვალერი მჩელაძე, ელექტროკოსი გურამ ცერცვაძე, ოსტატი სერგო გრიგოლია და სხვები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამოცემის მთლიანი დირექტორი ვახტანგ ეს-განჯია, ასოტამწყობი ლიადა ყურ-შიტაშვილი, დამკაბადონებელი ვაგიდ ჰასანოვი, ლინოტიპისტი ვალერი მჩელაძე, ელექტროკოსი გურამ ცერცვაძე, ოსტატი სერგო გრიგოლია და სხვები.

ლიც არ ითვალისწინებს როგორც ქართველი, ისე ოსი მოსახლეობის იმ ძირითადი ნაწილის ინტერესებსაც, რომლებიც ცხოვრობენ სამახალხლოს ქართულ მიწაზე (ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე).

ბრძანება მიღებულია ნაჩქარევად, პრობლემის ღრმა შესწავლის გარეშე, რომლის გადაწყვეტაც შედის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და მთავრობის კომპეტენციაში.

ვთვლით, რომ ეს ბრძანება არის სუვერენული რესპუბლიკის საქმეებში უზემ ჩარევა. განსაკუთრებულ აღშფოთებას იწვევს ბრძანების ის პუნქტი, რომლითაც მოითხოვთ საქართველოს მილიციის გამოყვანას ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიიდან, ხალც ექსტრემისტთა ჩაუფებით, არღვევენ რა თქვენს მიერ აღრე გამოცემულ აირაღის აშოღების ბრძანებას, ტერორს უწივენ ორივე ეროვნების ხალხებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამოცემის მთლიანი დირექტორი ვ. ესგანჯია. შრომითი კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე ს. შამალაძე.

ქართველი დედაბის მიმართვა

ცხინვალში მცხოვრები ოსი ეროვნების ყველა კათოლიკის ნების ადამიანისადმი

შესდევით, ადამიანებო, ვის ეომებით? რა გაქვთ ჩვენთან გასაყფი. გონს მოიღო! ისე ნუ გახდით საქმეს, რომ ჩვენს გვერდით აღარ გუდგომებოდეთ. ბოროტად ნუ ისარგებლებთ ჩვენი მოთმინებითა და მიმტყველობით. ომერთს ნუ სცოდავთ. განა არ იცით, ქართველი ხალხის წინააღმდეგ მახვილის აღმართვა კაცმა რომც გააბატოთ, ღმერთი არ გაბატობთ, გონიერად განსაყფი და შეეგუეთ ავტონომიის გაუქმებას, რომელიც საბოლოოდ არც თქვენ მოგატანდათ მიკეთეს და არც ჩვენ.

ქართველი ბევრი თქვენგანისგან გარწმუნობთ სიტყვიერ მხარდაჭერას, მაგრამ ღრეს მარტო ეს აღარ კმარა — საქმეა საქირო! საქმით ამოგვიღებთ მხარში გვერწმუნეთ, ეს იქნება თქვენთვის ერთადერთი სწორი და გამართლებული გზა. იმედი გვაქვს, გონიერება გაიმარჯვებს და ჩვენს გვერდით დადგებით. ეს არის ჩვენი სათქმელი, დანარჩენი თქვენთვის მოგვინდვია.

ღმერთს იყოს ჩვენი და თქვენი მფარველი ყველა სასიკეთო საქმეში.

ქართველი დედაბის ხახლით
ლ. მამალიძე
მ. შინგულია
ნ. ბარამიძე
სულ 150 ხელმოწერა

სიკეთე იწვიმავს გორბაჩოვს

თავისი მხარდაჭერა და თანადგომა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილებებისადმი სსრ კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულების შესახებ გამოხატა. საქინფორმის კოლექტივმა მიტინგზე, რომელიც 10 იანვარს გაიმართა. ქურნალისტებმა დაგმეს ანტიკომუნური, ანტიქართული და ანტიღმერთი ამწვაგებს ეროვნებათშორის შუღლს, ხელს უწყობს ოსი ეროვნების ექსტრემისტებს განაზოციელონ თავიანთი ბნელი ზრახვები. საიგენტოს კოლექტივმა ერთსულსავე დაუპირა მხარი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილებას და თავისი მკვეთრი პოზიცია გამოხატა ღაქმეში, რომელიც გაუგზავნა საბჭოთა კავშირის პრეზიდენტს მიხეილ გორბაჩოვს. მიტინგის მონაწილეებმა იმედი გამოთქვეს, რომ გაიმარჯვებს სალი არი და საქართველოს, ქართველს ერს მიეცემა საშუალება თავად გადაწყვიტოს თავისი ბედი, საკადრისი მიუზღოს მათ, ვინც გადაქრობება სამშობლოს დამოუკიდებ-

ლობისათვის სამართლიან ბრძოლაში, ვინც შეეცდება ხელყოს მისა სიმშვიდე და ტერიტორიული მთლიანობა.

საქინფორმის

ქართველი დემოკრატიული პარტიის პრესცენარის ინფორმაცია

პრეზიდენტ გორბაჩოვის ბრძანებამ და სისხლისღვრის მოსალოდნელმა საფრთხემ საქართველოში საერთაშორისო ორგანიზაცია „დემოკრატია და დამოუკიდებლობა“ მძაფრი რეაქცია გამოიწვია (ამ საერთაშორისო ორგანიზაციაში ერთადერთი დემოკრატიული პარტიაა წარმოდგენილი). „დემოკრატია და დამოუკიდებლობა“ მხარს უჭერს ქართველ ერსა და მის სამართლიან მოთხოვნებს და სწორედ ამ მიზნით აპირებს მთელი რიგი ღონისძიებების ჩატარებას.

შაბათს, 12 იანვარს სომხეთის დედაქალაქ ერევანში „სომხეთის თვითგამორკვევის ორგანიზაცია“ (თავმჯდომარე — პარტიის იურიკონი) გამოიტანეს საპროტესტო დემონსტრაცია გორბაჩოვის ანტიქართულ ბრძანებასთან დაკავშირებით. მიტინგი მიიღეს ქართველი ერის მხარდაჭერა რეზოლუციას.

დაღვიბლია მსგავსი აქციების მოწყობა ვარშავასა და ვროცლავში თავისუფლების პარტიისა და „მებრძოლო სოლიდარობის“ მიერ. „დემოკრატია და დამოუკიდებლობა“ ყოველ ღონეს იხმარს მსოფლიო საზოგადოებრიობის სწორი ინფორმირებისათვის, რადგანაც ე. წ. ოსური საკითხი არასწორად არის გაშუქებული მსოფლიოს მალბორი ინფორმაციის საშუალებების მიერ.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია იმედოვნებს, რომ ბალტიისპირელებიც განაზოციელებენ სოლიდარობის აქციას (კასუსის ველით ამ დღეებში). ინფორმაციას მხარდაჭერი აქციების თაობაზე პერიოდულად მივაწვდით ქართველ საზოგადოებრობას.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პრესცენტრი
10 იანვარი, 1991 წელი.

დავიცავთ ჩვენს დამოუკიდებლობას

ბათუმის საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, სასწავლებლებში, აჭარის სოფლებსა და რაიონულ ცენტრებში ეწყობა საპროტესტო მიტინგები, რომელზეც ადამიანები გამოხატავენ თავიანთ უკმაყოფილებას „საქართველოს სს რესპუბლიკაში 1990 წლის დეკემბერში მიღებული ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის შესახებ“ სსრ კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულების გამო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის საგანგებო სწდომზე მიღებულია გადაწყვეტილება, რომელიც შეესაბამება რესპუბლიკის სუვერენულ უფლებებს, ითქვა ბათუმის თეატრალურ მოედანზე გამართულ მიტინგზე. დეპუტატებმა მკაფიოდ გამოხატეს სსრ კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულებისადმი ქართველი ხალხის პოზიცია. 7 იანვარს, როცა მთელი რესპუბლიკა აღნიშნავდა შობას, ადამიანები ერთმანეთს უსურვებდნენ მშვიდობას, სიყვარულსა და სიკეთეს, პრეზიდენტმა უცბად გამოსცა ბრძანებულება, რომელიც აჭარაში, ისე როგორც მთელ საქართველოში, აღიქვა საქართველოს რესპუბლიკის სუვერენულ უფლებებზე თავდასხმად. მიტინგის მონაწილეებმა დაგმეს ცენტრის ცდა შეიტანოს განხეთქილება საქართველოს ერთიანობაში. გამოიწვია დესტაბილიზაცია და დათესონ შტორბა, უნდობლობა აქ მშვიდობითა და თანამობით მტროვრებ ხალხებს შორის.

მიტინგზე მიიღეს რეზოლუცია. ტექსტის ეგზემპლარები მრავალი ხელმოწერით გაეგზავნათ სსრ კავშირის პრეზიდენტს მიხეილ გორბაჩოვს და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ზვიად გამსახურდიას.

საქინფორმის



მოსკოვი, კრემლი, მინსკი სარგის ქა

პსლი: საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს

უნივერსალ „თბილისის“ ათასკაციანი კონკრეტული, რომელიც 14 ეროვნების წარმომადგენლების მხარდაჭერა ბევრი ოსიც შრომობს, ათაშფოთა თქვენმა ბრძანებულებამ საქართველოს სს რესპუბლიკაში 1990 წლის დეკემბერში მიღებული ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის გამო“.

თქვენ და ცენტრის მთელი ხელისუფლება დღემდე, როცა ოსი სეპარატისტები და ადვირახსნილი ექსტრემისტები ცდილობდნენ საქართველოსთვის მოეგლიჯათ მანის ისტორიული მიწა-წყალი — სამაჩაბლო. თქვენი დემილით ხელს უწყობდით ტერორს ქართველებს მიმართ სამაჩაბლოს ტერიტორიაზე, ხოლო თქვენი 1991 წლის იანვრის ბრძანებულება ახალი სისხლისღვრის სივრცე გახდა ოსი სეპარატისტებისათვის.

შექმნილ მდგომარეობაში ერის ნების გამოხატვით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 11 დეკემბრის დადგენილება საყვარელი და ყოველმხრივ სამართლიანია და თქვენი 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულება მიგვაჩინა საქართველოს რესპუბლიკის შინაურ საქმეში უზენაეს ხარვეზად, მისი ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფად და გვმობთ მას, როგორც უსამართლოს და ქართველი ხალხის სიმტკიცით გაქვნილს.

დღემდე ტექსტი მიღებულია უნივერსალ „თბილისის“ შრომითი კონკრეტების საერთო კრებაზე 1991 წლის 8 იანვარს.

ურყობა, გამოენახოთ ეროვნებათშორისი კონფლიქტების მოწვევების გზები.

სსრ კავშირის პრეზიდენტის მიხედვით გორბაჩოვის ბრძანებულებამ ჩემში, ისე როგორც ყოველი ქართველის გულში, გამოიწვია, მეტი რომ არა ვთქვათ, გულსიტყვილი პრეზიდენტის განა ასეთ გადაწყვეტილებას შეუძლია შეუწყოს ხელი ამ კონფლიქტური სიტუაციის მშვიდობიან მოწესრიგებას. ქართველი ხალხი არასდროს არ გადაუხვევს არჩეულ გზას. და ვერავითარი სეპარატისტები და ექსტრემისტები ვერ გვიძულებენ ვულვარტო სიკეთის, რწმენის, თავისუფლებისა და სამართლიანობის სიყვარულის ქრისტიანულ გზას. მივსვამლები აფხაზეთში ახალი აფხაზურ-ქართული საზოგადოებისა და „სამაჩაბლოს ალორბინების ფონდის“ შექმნას. ამ ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანონ საქართველოში გამწვავებული ეროვნებათშორისი ურთიერთობის მოგვარებაში.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის საგანგებო სხდომაზე ყველაფერს ნათელი მოჰქვინა, მან აშკარად და არაორაზროვნად გამოხატა ქართველი ხალხის პოზიცია პრეზიდენტის იანვრის ბრძანებულების გამო და ამ გადაწყვეტილებას ხმის უფრთხვებს ყველა, ვისაც უყვარს საქართველო, იბრძვის სამართლიანობისათვის. მხოლოდ ერთიანობა, მხოლოდ ნათელი მომავლის რწმენა, მხოლოდ სიბრძნე მიგვყვანს იმ მიზანთან, რომლის მიმართაც ცხოვრობს ჩემი რესპუბლიკის ყველა პატრიოტი ადამიანი.

როგორ არ გავისხენოთ დიდი შოთა რუსთაველის სიტყვები: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“...

ბივი თოვსრია.

ტარსაიძის სახელობის თვლის ხეულებათა რესპუბლიკური საავადმყოფოს განყოფილების გამგე, რესპუბლიკის დამახსურებული ექიმი.

დავდგეთ ქართველი ქაების გვირგვინი!

ძვირფასო მეგობრებო! ოსი ეროვნების სალი გუნების და აზროვნების აღამიანობა!

მოგმართავთ საქართველოში მცხოვრებ აზრბაიჯანელი ხალხის სახელით. საქართველო საქართველოში დაბადებული და აღზრდილი ყოველი არაქართველის სამშობლოცაა. ყოველი ჩვენგანის ვალია დავდგეთ ქართველი ხალხის გვირგვინით, დავიცვათ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. საქართველოს და ქართველი ხალხის ყოველი მტკიცეული იარაღი გულთან ახლოს უნდა მივტანოთ, მათ შორის ოსებმაც. ქართველ და ოს ხალხებს ზომ მრავალსაუკუნოვანი, სისხლბორცული ნათესაობა აკავშირებთ. საქართველო დღეა ყოველი ჩვენგანისათვის. ჩვენ ხომ დავიბადეთ და გავიზარდეთ საქართველოში, დედისათვის ზრუნვა კი ყველა შვილის ვალია. სწორედ დღეს, ვიდრე არასოდეს, სჭირდება საქართველოს და ქართველ ხალხს თანადგომა რესპუბლიკაში მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში.

საქართველოში ავტონომიური ერთეულის შექმნა და გაუქმება სუვერენული საქართველოს საშინაო საქმეა. ამიტომ ცენტრის ჩარევა და პრეზიდენტის 7 იანვრის ბრძანებულება ყოველი საღად მოაზროვნე ადამიანისათვის აღმაშფოთებელია.

ბატონ გორბაჩოვს უნდა საქართველო აქციოს მეორე ყარაბაღად, დაიღვაროს მშობა სისხლი. ისედაც, ცენტრის ჩარევის შედეგად უკვე დიდი ხანია, რაც კავკასია მთლიანად ცეცხლის ალშია განხვეული.

მოვითხოვთ, რომ სსრ კავშირის პრეზიდენტმა გააუქმოს თავისი ბრძანებულება.

ადილფაჰა რისტომოლი, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებათა არხებულ: აზრბაიჯანული ასოციაცია „დაიჯის“ გამგეობის წევრი, სოციალურ განმეობათა და ერთაშორის ურთიერთობის კომისიის თავმჯდომარე.

საბაბოთა კავშირის პრეზიდენტის „საშობაო“ ბრძანებამ კიდევ ერთხელ დააჩინა განგაშის ხარბი საქართველოში.

10 იანვარს უნივერსიტეტის ეზოში ორგანიზაცია „სვანეთისა“ და უნივერსიტეტის პროფსორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ერთობლივ მიტინგზე ორიათსამდე კაცი მა მრყარა თავი, მათ შორის იყვნენ ათასადე სვანეთიდან ჩამოსულნიც.

„სამშობლოს არვის წავართმევთ, ნურც ნურვინ შეგვეცილებათ“ — აი მთავარი სათქმელი, რომელიც მიტინგზე შეკრებილი ყველა ადამიანს აერთიანებდა.

მიტინგზე სიტყვით გამოვიდნენ: ორგანიზაცია „სვანეთის“ პრეზიდენტი ლია ცინდელიანი, მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე ბიშურზა აფრასიძე, ვიორგი ონიანი, ვინო ზიბლიანი, დლის ხეობის რეგიონის წარმომადგენელი რეზო გუჯავანი, სვეტლანა კუტბა — აჭარის ავტონომიური ოლქიდან, რესპუბლიკის მთავარი არბიტრი ემზარ ბენდელიანი. მათი გამოსვლებიდან თვალნათლივ გამოიკვეთა ერთი პოზიცია: საქართველო დღეს დიდი არჩევანის წინაშე დგას: ან თავისუფლება ან მონობა. მათ მიანჩიათ, რომ ამ სიტუაციიდან გამოსავალი მხოლოდ ერთიანობაშია.

გამოსვლებმა მოუწოდეს საქართველოში მცხოვრებ ყველა ოსს, წინ წარუძღვნენ ქართველ ხალხს სამაჩაბლოში, რათა გონგვადსულ ძმებს კეთილგონიერებისაკენ მოუწოდონ.

უნივერსიტეტის პროფსორმა ბატონმა გრიგორ ქუმბურიძემ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ რუსეთი არის ქვეყანა, სადაც ყველაფერი შესაძლებელია, უფრო სწორად შეუძლებლობათა შეძლების ქვეყანაა და ამდენად ჩვენ მისგან ყველაფერს უნდა ველოდეთ. ამიტომ მას მიანჩია, რომ ამ სიტუაციაში ეროვნული პარამენტისაგან გადგომა დალაგის ტოლფასია.

მიტინგზე სიტყვით გამოვიდა თეიმურაზ ქორიძე, მან თქვა, რომ მიტინგთან ბრძოლის ერთადერთი იარაღი დღეს ერთ მუშად შეგვრია, მხოლოდ ჩვენი ერთიანობა თუ შეაზინებს ოს სეპარატისტებსა და ცენტრსაც. მან დაამატა მომიტინგეები, რომ საგანგებოდ საქმე არა გვაქვს, რომ ჩვენი აუცილებლად მოვიგებთ ამ დიდ ომს. თემურ ქორიძემ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ დეტუკაცია მართოდენ მოთხოვნებით არ მოხდება, რომ ამას სჭირდება მსოფლიო დონის პოლიტიკური აქციები, რომ დღეს ყველაზე მთავარია ერი გადაურჩეს განრისხებული კრემლის მუქარას და რუსის ჯარმა საქართველოში არ უნდა ითარეშოს.

თუმცა მიტინგზე გაიშინა საპირისპირო მოსაზრებაც, ბატონ ჯაბა იოსელიანს მიანჩია, რომ საქართველოს უზენაესმა საბჭომ დაუყო-

საქართველოს პარლამენტი



ნაკარბეპო...

ნებლივ უნდა მოხსნას კომენდანტის საათი სამაჩაბლოში, რათა ამის შემდეგ მიეცეს „მედიოროს“ საშუალება სრული წესრიგი დაამყაროს ამ რეგიონში, ბატონ ჯაბას ამ მოსაზრებას მომიტინგეთა უმრავლესობა არ დეთანხმა.

მიტინგზე მიიღეს რეზოლუცია იმის თაობაზე, რომ სსრ კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულება წარმოადგენს სუვერენული საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეებში უზენაეს, არაკონსტიტუციურ ჩარევას, ამდენად ორგანიზაცია „სვანეთისა“ და უნივერსიტეტის პროფსორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ერთობლივ მიტინგზე დაადგინეს:

1. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 11 დეკემბრის კანონი არის ქართველი ხალხისა და სრულიად საქართველოს მოსახლეობის ნების გამოხატველი და არავის არა აქვს უფ-

ლება გააუქმოს იგი, გარდა რესპუბლიკის ხელისუფლებისა.

2. მიგვაჩნია რომ, ე. წ. სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის გაუქმება წარმოადგენს საქართველოში მცხოვრებ ყველა ეროვნების ხალხების უსაფრთხოების, პიროვნების უფლებების დაცვისა და მგვობრული ურთიერთობის ერთადერთ საფუძველს.

3. მოვითხოვთ საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის 7 იანვრის ბრძანების გაუქმებას, ვინაიდან იგი წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის ცდას, რესპუბლიკისა და მისი მოსახლეობის უფლებათა ხელყოფას. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ, მთელ ქართველ ხალხთან ერთად, გამოვაცხადებთ ეროვნულ დაუმორჩილებლობას...

ნიმე დარახველიძე

ცაიშის ღვთისმშობელი

ამ ბოლო წლებში, ღვთის ნებთა და ერის ძალისხმევით, საქართველოში ბევრი ეკლესია გაიხსნა, მათ შორისაა ზუგდიდის რაიონში სოფელ ცაიშში ამოქმედებული ყოველდღის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი.

ცაიში ცა ღმერთის სალოცავი ადგილია. სახელწოდება ცაიში უძველესი წარმოშობისა და მისი სათავე ქრისტიანობის წინააღ — წარმართობის ხანაში დგას... ირკვევა, რომ ცაიში (საქართველოში) ერთ-ერთი უძველესი სოფელი და სალოცავია.

დღემდე მოღწეული წერილობითი საბუთების მიხედვით პირველად ცაიში მე-7 საუკუნის დამდგინად, 602-610 წლებს შორის იხსენიება. ეპიფანე კვიპროსელის მე-7 საუკუნის დამდგენი შედგენილ მეშვიდე ნოტაციაში მოხსენებულია ლაზიკის (ფაზისის) ეპარქია, რომლის მეტროპოლიტარეზიდენცია ფაზისში (ფათში) იყო. ფაზისის

მეტროპოლიტს ექვემდებარებოდა ოთხი ეპისკოპოსი: როდოპოლისის (ვარციხის), ცაიშის, პეტრას და ზიგანეთის. ლაზიკის ეპარქია ექვემდებარებოდა კონსტანტინეპოლის პატრიარქს. მე-10 საუკუნის პირველ წლებში, 901-907 წლების აქეთ, ლაზიკის ეპარქია თავისი ოთხი ეპისკოპოსო კათედრით — როდოპოლისი, ცაიში, პეტრა და ზიგანეთი უკვე აღარ ექვემდებარებოდა კონსტანტინეპოლის პატრიარქს, იგი მცხეთის საკათალიკოსოს დაუკავშირდა. ის გარემოება, რომ დასავლეთ საქართველოს კათედრათა შორის იმ დროიდან, რაც ლაზიკის ეპარქია გამოეყო კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს და დაუკავშირდა მცხეთის საკათალიკოსოს, ცაიშის კათედრა ყოველთვის ირსებობდა, გვავლენს ვიფიქროთ, რომ ასეთი კათედრა („ცაიშისა“) შეიძლება არსებობდა წინათაც („გორგოჯა“, ბიზანტიელი მწერლების ცნობები სა-

ქართველს შესახებ, ტომი მეოთხე, ნაკვეთი მეორე). ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა.

ზემოთ მოტანილი ცნობა-საბუთი მრავალმხრივ საყურადღებოა: ფაზისის მეტროპოლიტს დაქვემდებარებულ ეპისკოპოსთა შორის დასახელებულია ცაიშის ეპისკოპოსი; სახელწოდება „ცაიში“ სწორი ფორმითაა აღნიშნული; რაკი ცაიშის ეპისკოპოსია მოხსენებული, იგულისხმება, რომ მას რეზიდენცია — ტაძარიც ექნებოდა. (მართლაც სხვა ცნობით ვიცით, რომ მე-7 საუკუნეში ცაიშში ეკლესია მდგარა, რომელიც, როგორც ირკვევა, შეიძლება სიპატრიარქისა და გარდა მთლიანობის ხელყოფის გამო დაურღვევიათ და მე-13 საუკუნის დამდგენს ამჟამად მდგარი ეკლესია იუშენებიათ); რაკი ცაიშში საეპისკოპოსო კათედრა ხანგრძლივად არსებობდა, ადვილი შესაძლებელია, ის არსებობდა მე-7 საუკუნის დამდგამდეც.

ზემოთ აღნიშნა, მე-10 საუკუნის დამდგამდამ ლაზიკის ეპარქია გამოეყო კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს და დაუკავშირდა მცხეთის საკათალიკოსოს.

(დასასრული შემდეგ)

დასასრული შემდეგ



(დასასრული)

ცივის კათედრა ყოველთვის არსებობდა და საბუნებრივად საუკუნეების მიხედვით მოხსენებული არიან ცივილიზაციების ეპისკოპოსები.

ცივილიზაციის შემოღობვის ქართული სურათობრივების მეშვეობით — სატარო კომპლექსი, რომელიც შედგება ლეონტიძის გუმბათოვანი ტაძრის, სამრევლოსა და პალატის პირველი სართულისაგან. ტაძარი აგებულია მე-13-მე-14 საუკუნეთა მიჯნაზე, უფრო ადრინდელი ეკლესიის ადგილზე.

საარქივო დავითებიდან ცნობილია დანილ ცივილი მთავარეპისკოპოსი (1271-1289 წ.წ.), რომელიც განაგებდა ღვინის ტერიტორიაზე მდებარე ეკლესიასაც. მან აკურთხა ლაშქარის მთავარანგელოზის ეკლესია, დემეტრე მეფის მეფობისას ერისთავთ-ერისთავი დანილის ოზბეგის ბრძანებითა და მოწოდებით.

„მცნებაი სასჯელი“, რომელიც 1470-1474 წლებით თარიღდება, გვუწყობს, რომ იერუსალიმ-ანტიოქიის პატრიარქ მიქაილს ხელი დაუსწია იერუსალიმის მეზობელი ქვეყნის — საქართველოს კათალიკოსისათვის და მწვემსთავრად გამორჩეული ყოფილა ცივილიზაციის მთავარეპისკოპოსი იოაკიმე. „გაქურთხეთ კათალიკოზი იოაკიმე, მარჯვენაი იერუსალიმისა, აფხაზეთისა, კათალიკოზი... დასვეთ აფხაზეთს, საყდართა მით ანდრია მოციქულისათა, ყოველთა ქრისტიანთა ლხთ-ამერისა ოდიშისა, გურიისა და აფხაზეთისა. ყოველთა ურჩთა და ღმერთისა არა ნებისყოფილად მოსაქცეველად ვაკურთხეთ“.

დასავლეთ საქართველოში ამ დროისათვის ყოფილა (აფხაზეთ-სამეგრელოში) დრანდის, ბიჭვინთის, ცხუმის, მოქვის, ბედის, ცივის, ჭყონდიდის საეპისკოპოები. ხშირად ბედია (სამურხაველი)-ცივის კათედრებს განაგებდა ერთი ეპისკოპოსი. ზუგდიდის მაცხოვრის კარის ეკლესიაზე, რომელიც აგებულია XVII საუკუნის პირველ ნახევარში, შემორჩენილი წარწერებიდან ირკვევა, რომ ეკლესიის კედლები მოუხატავს და მაცხოვრის ჯვარი შეუმკია ცივილიზაციის მთავარეპისკოპოსი (კირილე) კვირილე ქვანიძის.

1616-1621 წლებში შედგენილი დავითიდან ვგებულობით, რომ ცივის ეკლესია მიწისძვრას დაუზარებია, ეკლესიის სამკაული, ხატები, ჯვარი, დავითები ნახევრებში მოქცეულია და წაშლილია, დაქცეულია გარეშე შენობები, სამრევლო, გალავანი, მახლობელი მცირე ეკლესიებიც ცივის სოფლისა. ბრძანებითა და შეწვევითა მთავარეპისკოპოსმა დაიწყო აღდგენის სამუშაოები და აფხაზეთისა კათალიკოს ცივილიზაციის მთავარეპისკოპოსი მალაქიას ხელმძღვრედ აუშენებია ტაძარი და შეუმკია როგორც შედეგად, ხატებითა, ჯვრითა და სხვა სამკაულითა.

საქართველოს საზღვრები ვახუშტის შემდგენილია აქვს მოხაზულობა: ჩაის... ზის ეპისკოპოსი. მწვემსი და ამ წყლის (ბაზიწყლის) — სამხრეთით კერძო უნაგირამდე და რიონა ზღვამდე. სხვა ადგილას მასვე მოხსენებული აქვს სამეგრელოს სხვა საეპისკოპოსოების საზღვრები. აღმოვაჩინეთ საცივილის ესაზღვრებოდა საჭყონდიდლო მთა უნაგირამდე, დასავლეთით ზღვა, სამხრეთით — მდინარე რიონი, (რომლის სამხრეთ ნაწილს ჭუმათის საეპისკოპოსოს ეკუთვნოდა), ბოლო ჩრდილოეთით — საცივილის ტერიტორია, რომელიც საკმაოდ დიდი ყოფილა ვახუშტის დროს.

ცივის ტაძარს ჰქონდა მძიმე პერიოდები. მე-17 საუკუნის 50-60-იან წლებში ქვეყნის ასაწიოვებლად შემოსულმა ბერის ბანდებმა ეკლესია გატყვეს და ააოხრეს. იმ დროისათვის ცივილიზაციის ახლად დანიშნული დავით ჭოლია სასოწარკვეთილებით გვაუწყებს, რომ ეკლესიაში არსებულ შესამოსელოთაგან ყველაფერი მოუსპია ხანძარს.

ეკლესია, როგორც საეპისკოპოსო კათედრა, კვლავ აღდგენილია 1711 წელს.

სამეგრელოს მთავარს კაცია დადიანს ცივილიზაციის დასახლება გრიგოლ ჩიჭოვანი, „კაცი საინოღვისა და სულიერითა ზედითა აღსავსე“. გრიგოლ მიტროპოლიტს ეკლესია თავისი ზარჯებით აღუდგენია.

1811 წელს გაუქმებულ იქნა საქართველოს ეკლესიის თვითმყოფლობა. 1811 წლის 24 ივნისის მონაცემებით სამეგრელოში მოქმედებდა სამი ეპარქია: ჭყონდიდის, ცაგერისა და ცივისა. ჭყონდიდის ეპარქიას მართავდა ბესარიონ (დადიანი), კათედრა იყო მარტვილში. ეპარქიაში შედიოდა 102 სამრევლო.


1823 წელს ეგზარქოსის მიერ გაუქმებული იქნა ცივის კათედრა.

სახის (სამრევლოს ჩათვლით) 300-ზე მეტი ეკლესია, რომელთაგან ნახევარზე მეტი ქვეცივისა იყო (ხილეთ ზუგდიდის ისტორიული მუზეუმის ლიტერატურული არქივი № 1225).

სამეგრელოს ეკლესია-მონასტრების ფრესკები, მონატულობანი და ხატები აღწერილი აქვს პროფესორ ექვთიმე თაყაიშვილს. ცივის ტაძრის არქიტექტურული კომპლექსი შეისწავლა და გამოცა პროფესორმა პ. ზაქარაიამ.

1823 წელს ეგზარქოსის მიერ გაუქმებული იქნა ცივის კათედრა.

ცივილიზაციის



ღვთისმშობლის

ეკლესია, რომელიც მანძილზე ცივის კომპლექსში ბევრი ცვლილება განიცადა. ადგილობრივი მოხუცების ზეპირი გადმოცემით მე-19 საუკუნის შუა წლებში ტაძარი ისლეთ ყოფილა გადახურული, ხოლო იმავე საუკუნის 80-იან წლებში — ადგილობრივი უკანასკნელ წლებში თუნუქით გადახურული. 1823 წლიდან ცივის ტაძარს-სამრევლო საკრებულო ზღვდა სამრევლო სკოლი, რომელიც მოქმედებდა 1930 წლამდე.

კათალიკოს მალაქია მეორის მიერ აღდგენილ ტაძარს არსებითი ცვლილებები არ განუცდია (თავდაპირველი ეკლესიის ფრაგმენტები ჩართულია ახალი ტიპის კედლებში). მეგლის რესტავრაციის დროს ეკლესია შიგნით მთლიანად მოუხატავთ. საკურთხევლის წინ ორივე მხარეს აღმართულია მარმარილოს სვეტები, რომელიც ვამეყ დადიანს ჩამოუტანია XIV საუკუნის ბოლოს, აფხაზეთში ლაშქრობის შემდეგ. გალავნის გარეთ პალატის შემორჩენილი ერთი სართული შუა საუკუნეების საერთო ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლია და როგორც ჩანს, მშენებლობის თავდაპირველ ხანას მიეკუთვნება. იგი წარმოადგენს დიდ დარბაზს, რომლის თაღოვან-კამაროვანი გადახურვა ორ დიდ სვეტს ეყრდნობა. მიწისძვრის შედეგად დანგრეული სამრევლო აღდგენილია XVII საუკუნეში, სამრევლო-

კომპლექსში ბევრი ცვლილება განიცადა. ადგილობრივი მოხუცების ზეპირი გადმოცემით მე-19 საუკუნის შუა წლებში ტაძარი ისლეთ ყოფილა გადახურული, ხოლო იმავე საუკუნის 80-იან წლებში — ადგილობრივი უკანასკნელ წლებში თუნუქით გადახურული. 1823 წლიდან ცივის ტაძარს-სამრევლო საკრებულო ზღვდა სამრევლო სკოლი, რომელიც მოქმედებდა 1930 წლამდე.

კათალიკოს მალაქია მეორის მიერ აღდგენილ ტაძარს არსებითი ცვლილებები არ განუცდია (თავდაპირველი ეკლესიის ფრაგმენტები ჩართულია ახალი ტიპის კედლებში). მეგლის რესტავრაციის დროს ეკლესია შიგნით მთლიანად მოუხატავთ. საკურთხევლის წინ ორივე მხარეს აღმართულია მარმარილოს სვეტები, რომელიც ვამეყ დადიანს ჩამოუტანია XIV საუკუნის ბოლოს, აფხაზეთში ლაშქრობის შემდეგ. გალავნის გარეთ პალატის შემორჩენილი ერთი სართული შუა საუკუნეების საერთო ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლია და როგორც ჩანს, მშენებლობის თავდაპირველ ხანას მიეკუთვნება. იგი წარმოადგენს დიდ დარბაზს, რომლის თაღოვან-კამაროვანი გადახურვა ორ დიდ სვეტს ეყრდნობა. მიწისძვრის შედეგად დანგრეული სამრევლო აღდგენილია XVII საუკუნეში, სამრევლო-

შია დასვენებული დეკანოზი მიხეილ მუხარბია, ტაძრის წინამძღვარი, მისი მეუღლე, მწერალი და საზოგადო მოღვაწე იონა მუხარბია და ხატმწოდველი პეპუ მუხარბია.

1989 წლის 14 სექტემბერს ცივის ტაძარი აკურთხა უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია II-მ. მისივე ბრძანებით I ნოემბრიდან დაიწყო მუშაობა ცივის წინამძღვრად. ცივის „ღვთისმშობლის“ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მემ გულადი გარდაცვალების შემდეგ ავტორიტეტში გახსნა ანგარიში № 70102, რის შედეგადაც ეკლესიის სახელზე ჩარიცხული იქნა თანხები ორგანიზაციებისა და ინდივიდებისაგან. მადლობის თქმა ეკუთვნის ცეკაშვილის ბაზის, ზუგდიდის რაიონის, ფაფურის ქარხნის, ინგოლის მუხრანების, „საქლიმპროექტის“ ხელმძღვანელებს, განსაკუთრებით ცივილიზაციის მემ გულადი გარდაცვალების შემდეგ, ნ. ჯომაძეს, შ. ქირიას, ბ. პაპუკორიას, რ. მელიას, ი. ქაღარისა, დ. არქანიას, ლ. არნაიას, გ. არახაძის, მ. პაპუკორიას, ჯ. როგავას, და ტ. და რ. გათუბს და სხვებს.

შეძინილ იქნა საეკლესიო ზარები. მოძრაობა დაიწყო საზოგადოებრივმა ტრანსპორტმა, მრევლიდან შედევითობა ისწავლა ფლორა შონიამ. სხვებიც არიან დანიშნულებული. ზაზა ქობალიამ ჩააბარა თბილისის სასულიერო სემინარიაში. დარაქისა და მნათის მრავალეზბის ეწვეა ეკლესიაში ვახტანგ ეფემია. ძეგლთა დაცვამ ეკლესიაში დაგვიტოვა ქვის ფილები. მაგრამ გუმბათის სარკმელში ჩასასმელია მინები. ბატონმა ნ. ჯომაძემ გაგვიკეთა ეკლესიისათვის რკინის კარები, რომლის დამუშავებამ-გამშვენიერებუ მუშაობს აქავე გაბეღია.

ეკლესიას არ აქვს გათბობა, ეკლესიის შემოვლის ლიტანიობისას ხელს გვიშლის სავლავის გარშემო შეკრული ღობეები.

საბოლოოდ ეკლესიამ უნდა აიღოს ორიენტაცია იმაზე, რომ გახდეს მონასტერი ან სამრევლო ეკლესია.

საქართველოს სხვა ეკლესიებთან ერთად ჩვენს ეროვნულ სიამაყეს წარმოადგენს ცივის კომპლექსი; მაგრამ ეკლესიაში წაშლილია ფრესკები და კარგი იქნება, რომ ფრესკების მოხატვაში დაგვეხმარებოდნენ თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულები. აგრეთვე: იყალთოს ტაძრის მსგავსად ჩვენც გვენდა მოგვწყობილიყო: „ჟამი, ეკლესია, მრევლი“ და ასე შემდეგ... დღეს საქართველოს მერმისისათვის ერთად უნდა ვიყოთ ერთი და ბერიც.

ჩემს სიტყვას ცივის ეკლესიაზე დავამთავრებ ცნობილი მწერლის ოტია იოსელიანის სიტყვებით: „უნდა დავეუბრუნოთ ხალხს რწმენა, რომ მუცელმშობლობაზე, კარიერასა და ძარცვა-გლეჯაზე ხელი აიღოს; საკუთარ ზნაზე კი არა, ერზე იფიქროს. მონობაში გადადევნიდა თავისუფლებისათვის სიკვდილი არჩოს... ილიამ რომ დაგვიბარა მაშული, ენა სარწმუნოება, ამას წმინდად უნდა დავცვა.“

სამღვდლოებამაც ღვთის მოციქულობა უნდა გასწიოს. ადამიანი ეკლესიაში ღმერთისთვის კი არა, სათვალსიეროდაც რომ მოვიდეს, რწმენა უნდა გაატანოს, რიტუალების ზუსტი დაცვა, პატიოსანი ცხოვრება და უანგარობა. მღვდელიც ადამიანია, ანგელოზის ფრთებს ვერ გამოისახავს, მაგრამ არ უნდა დაავიწყდეს, რომ ღვთისმსახურია და მისგან ღვთიურს მოვიბოვოთ“.

და ბოლოს, საქართველოს ეკლესიის ყველა კეთილშობილურს, მისი აღდგენის ყველა გულშემატკივარს უმორჩილესად ვთხოვ, დაეხმარონ ცივის საყდარს ზატებით, ჯვრებით, წიგნებით და ფულადი სახსრებით, შევიძლიათ ჩარიცხოთ თანხა ზუგდიდის ავტორიტეტში, ანგარიშის № 70102.

ამირან უნაბუღია, ცივის ღვთისმშობლის ტაძრის წინამძღვარი.

პროკლამაცია

დავანასროთ

ეროვნული

ნიშნის

მუზეუმი

ბევრი რამ გვალეგებს ქართველებს, რომელთა შორისაა ეროვნული კულტურა. ამ დარგის ერთ-ერთი განუყოფელი ნაწილია წიგნის — ადამიანთა პროგრესის ერთ-ერთი უდიდესი საშუალები, პოლიტიკური ბრძოლის მძლავრი იარაღის, კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნის მთელი მარაგის დაფუძვლის ფაქტორის, განვითარება.

წიგნი — ეს ერთი თაობის სულიერი ანდერძია მეორისათვის, მომავლადი მოზუცის რჩევა ცხოვრების დამწყებ ყრმისათვის, დასავლენებლად მამაკაცი გუშავის ბრძანება მისი შემცველი გუშავისათვის. კაცობრიობის მთელი ცხოვრება თანამედროვეობით ილექებოდა წიგნში: ტომები, ადამიანები, სახელმწიფოები, ქრებოდნენ, წიგნი კი რჩებოდა. ის იზრდებოდა კაცობრიობისათვის ერთად, მასში კრისტალდებოდა ყველა მოძღვრებები, რომლებიც არყვედნენ გონებებს, და ყველა გზნებები, რომლებიც აძრწუნებდნენ გულს. მასშია ჩაწერილი კაცობრიობის მშფოთვარე ცხოვრების ის უდიდესი აღსარება, ის უდიდესი ავტობიოგრაფია, რომელსაც მსოფლიო ისტორია ეწოდება, მაგრამ წიგნებში არა მარტო წარსულია: ის შეადგენს დოკუმენტს, რომლითაც ჩვენ შევდივართ აწმყოს სამფლობელოში, ზოგჯერ სისხლიანი ოფთხით მორწყული ტანჯვებით მოპოვებულ ყველა ჭეშმარიტებათა და ძალათა მთელი ჯამის-სამფლობელოში: ის მომავლის პროგნოზია. მას, პატივს ვსცემდეთ წიგნს!

ა. გერცენი (მამა).

1973 წელს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გამოცემული ცნობარი „წიგნის მუზეუმი“ ამტკიცებს, რომ სხვადასხვა ქვეყნებში წიგნის ისტორიისა და წიგნის საქმისადმი მიძღვნილი 107 მუზეუმი არსებობს. ამას გარდა, 14 მუზეუმის ექსპონატები მოგვითხრობენ ქალაქის წარმოების, ბოლო 11 მუზეუმის ექსპონატები — საამკინძო საქმის შესახებ. მსოფლიოში წიგნის უძველესი მუზეუმი გაიხსნა 1877 წ. ანტერპენში (ბელგია), XVI საუკუნის სახელოვანი მემკვიდრის ქრისტოფ პლანტინის ტაძარში შენობაში. ექსპონირებულია მოგვიანრობის წიგნის ბუკდვის განვითარებაზე XV-XVIII საუკუნეებში. სპეციალური დარბაზი ეძღვნება ცნობილ მხატვარ პიტერ პაულ რუბენსს, რომელმაც პლანტინ-მორტიუს ფირმისათვის დაამზადა 50-მდე გრავერებული თავფურცელი და ილუსტრაცია.

1884 წელს დაარსდა წიგნისა და შრიფტის გერმანული მუზეუმი, ამჟამად ლაიფციგის გერმანული ბიბლიოთეკის ქვედანაყოფი. ექსპონირებულია მოთავსებული ოთხ დარბაზში. მუზეუმის ფონდის მოცულობა 500 ათასზე მეტი განიზომება.

1900 წელს, როდესაც აღინიშნა წიგნის ბუკდვის გამოგონებელი იოჰან გუტენბერგის დაბადების 500 წლისთავი, მინცსა და ბერნში (შვეიცარია) დაარსდა გუტენბერგის მუზეუმი. მერვე მსოფლიო ომის წლებში დაგროვილი მანცის მუზეუმი აღადგინეს და მას 1962 წ. წიგნის ბუკდვის მსოფლიო მუზეუმი ეწოდა. 1901 წ. მუზეუმთან მოქმედებს გუტენბერგის საზოგადოება, რომელიც 1926 წ. სცემს „გუტენბერგის წელიწადულს“. მუზეუმის ექსპონატები მოგვითხრობენ შრიფტზე, ქალაქზე, წიგნზე, პოეტოგრაფიულ ტექნიკაზე უძველესი დროიდან დღემდე.

საზღვარგარეთის ქვეყნების წიგნის მუზეუმებშიც ცნობილია ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის — საქსონის სახელმწიფო ბიბლიოთეკისთან არსებული მუზეუმი დრეზდენში (1935), ვახუთ „ისკრის“ მემორია-

როსა გაზატი დასაბეჭდად გზად იყო

ტანკები ვილნიუსში

ეს ინფორმაცია „ზანსის“ ვილნიუსელმა კორესპონდენტმა ზურაბ ჯავახიშვილმა გუშინ საღამოს მოგვაროდა.

ბუშინ, დაახლოებით დღის 11 საათზე, ლიტვაში დისლოცირებული საბჭოთა არმიის სამხედრო სადგინო და საპარაშუტო ნაწილები, აგრეთვე მექანიზებული სატანკო კოლონები მოულოდნელად შემოვიდნენ ქალაქში. ერთბაშად იქნა აღებული საკვანძო ობიექტები, რომლებიც ეკუთვნოდა რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებს და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს. ხელში ჩაიგდეს და აიღეს ლიტვის კომპარტიის ყოფილი კომუნისტური პარტიის ცკ-ის, ისტორიის ინსტიტუტის, პარტარქივისა და ბეჭდვითი სიტყვის სახლის შენობები. ყველა ურუნალისტი, სტამბის მუშაკი ქუჩაში გამოაგდეს, იმარეს იარაღი. ვილნიუსის სხვადასხვა ადგილებში ისმოდა სროლა. დაუზუსტებელი მონაცემებით დაიჭრა ერთი ადამიანი — დასავლეთელი ურუნალისტი, რომელიც სატანკო კოლონის მსვლელობას იღებდა. მუქარის ქვეშა სატელევიზიო სადგური, ტელევიზია და რადიო. შეჩერებულია ვილნიუსი-

სკენ მიმავალი ყველა რეისი. ლიტვის პარლამენტმა მოუწოდა ყველა მოქალაქე, არ გაუწიონ შეიარაღებული წინააღმდეგობა საბჭოთა ჯარს, შეინარჩუნონ სიმშვიდე. იმავე დროს მთელი რესპუბლიკიდან ვილნიუსისკენ მოედინება ხალხით სავსე „იკარუსები“. მოქალაქეებს იმედი აქვთ, რომ ხალხის დიდი თავმოყრა ხელს შეუშლის სამხედროებს კიდევ უფრო მეტად გააქტიურონ მოქმედება. სიტუაცია გამწვავდა მას შემდეგ, რაც 5-7-ჯერ აიწია ფანებმა ყველა საკვებ პროდუქტზე, რის გამოც მთავრობა, რომელსაც კანონიერ პარლამენტი ედგა სათავეში, ბევრი დეპუტატის დაწოლის შემდეგ იძულებული გახდა გადაედგარათო, მიუხედავად იმისა, რომ ხალხში იგი პოპულარობით სარგებლობდა. აქ თავი იჩინა ლიტვის უზენაეს საბჭოსა და მთავრობას შორის არსებულმა ძვილმა წინააღმდეგობამ. 7 იანვარს აღშფოთებული ხალხმა პარლამენტის შენობის წინ მოიყარა თავი, რათა

გამოეთქვა თავისი უკმაყოფილება. მაგრამ როცა ლიტვის ფორმირება და მებრძოლებმა ობიექტის დასაცავად წყლის ჰავლი იმარეს, აღშფოთებულმა ხალხმა ჩაამტვრია უზენაესი საბჭოს შენობის ფანჯრები და შეეცადნენ შიგ შევარდნილიყვნენ. შეჯახების შემდეგ დაშავდა რამდენიმე პოლიციელი. სიტუაცია ერთგვარად ნორმალურად იქნა, მაგრამ გორბაჩოვის ულტიმატუმის შემდეგ, რომელშიც ნათქვამია, რომ ლიტვის ბევრი ორგანიზაცია და მოქალაქე რესპუბლიკაში წესრიგის დამყარებას, კონსტიტუციის აღდგენას და საპარტიულ-მმართველობის შემოღებას მოითხოვს, სამხედროებმა მკვეთრად გააქტიურეს თავიანთი მოქმედება. ამჟამად სიტუაცია გაურკვეველია...

დაწერილებით ლიტვაში მიმდინარე ამბებზე წაიკრთხავთ გაზეთ „ზანსი“.

რინგი

პრინცი მოყვარულმა შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს — გამოვიდა მეტად საინტერესო კრებული „რინგი-90“. როგორც წინასიტყვაობაში აღნიშნული: „კრებული მიმდინარეობს წარსულისა და თანამედროვეობის პროფესიული კრივის დიდოსტატებისადმი. მკითხველი გაეცნობა მათი ბიოგრაფიების მრავალ ნაკლებად ცნობილ ფაქტს, ბრძოლებს, რომლებიც ისტორიულად არის მიჩნეული, რინგის ახალ ამბებს, აგრეთვე გამოჩენილი სპორტსმენების წვრთხის მეთოდებს...“



კრივის მოყვარულთ, ალბათ, დაინტერესებთ მსოფლიოს ყველა დროის უძლიერესი მთავარი კრივის „ახლოს გაცნობა“. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ: რეი რობინსონი თუ ჯეკ დემპსი, როკი მარჩიანი თუ მაქს ბემლინგი, არჩი ნური თუ ჯო ლუისი, სონი ლისტონი თუ კასიუს კლეი (მუშაყდ აღი), ჯო ფრეზერი თუ ჯორჯ ფორმანი, რეი „მუგარ“ ლენონარი თუ რობერტო დურანი, მაიკლ სპინკი თუ ლარი პოლსი, ევანდერ პოლიფილი თუ მაიკ ტაისონი...

„რინგი-90“ უხვდაა ილუსტრირებული, რაც ერთობლად მიმზიდველს ხდის ამ საინტერესო კრებულს.

განხორჩილება

ჩვენი გაზეთის 16 იანვრის ნომერში გამოქვეყნებული სტატიის — „როდესაც თანადგომა დასაძაბულია!!!“, მე-3 სვეტის მე-2 აბზაცის ქვემოთ მე-8 სტრიქონი უნდა იკითხებოდეს: მიწანშეუწონლად მიჩნევენ საცავის ექსპონატების გადაადგილებას... შემდეგ როგორც ტექსტში.

535 საბინაო კოოპერატივი „ნაპრები“

აუქციონის ჩატარების წესით აქირავებს შენობის პირველ სართულზე 360 კვ. მეტო არასაცხოვრებელ სადგომს: ფორმებთან და ერთობლივ საწარმოებთან საიჭარო ჭირის განსაზღვრა მოხდება სახელმწიფო უწყებო ფაქტებს. მსურველებმა მიმართონ კოოპერატივის გამგეობას, ვარკეთილი მ. 111 „ა“ მიკრორაიონი, კორპუსი 338, V სადარბაზო, ბინა 71 ან 81 (აღრე გამოქვეყნებულ განცხადებაში კორპუსი. ნომერი არასწორად იყო მითითებული).

ვიზების სათარგმნელად და ანაბეების შესაქმნელად

გთხოვთ მიმართოთ ფირმა „ზევის“, რომლის ადგილსამყოფელიც გადატანლია პეტრიაშვილის ჩიხიდან პეტრიაშვილის ქ. № 3-ში. ვიზების თარგმნა ხდება ერთ დღეში. ფირმა „ზევის“ თქვენ მიგიღებთ ყოველდღე, დასვენების დღეების ჩათვლით, 9-დან 21 საათამდე. გთხოვთ გვეწვიოთ.

სალონებრილი კვრიული
Обществено-политическая молодежная газета
«Ахალгазდა Иверელი»

სახალხო მოხმარების საგნების კოოპერატივი „დელტა“ უზრუნველყოფს ელფედულების ნახევარატმობას CO₂-ის არაუზი, რომელიც შეიქმნება წარმატებით გამოიყენონ ავტოშემამთავლებამ ძარბის უფედულებისას, აგრეთვე სახეინკლო საგნათობის შესასრულებლად.

ქ. თბილისი, შინამარაშლის ქ. 13, კოოპერატივი „დელტა“, ტელეფონი: 71-87-80 ან 71-85-43.

„საქართველო კალენი“, როგორც იცავს საბჭოთა იმპერიას

სამოქალაქო ომის მზარდი საფრთხე საბჭოთა კავშირში იმაზე მითითებს, რომ დროა უკეთ გავიცნოთ „საქართველო კალენი“, რომელიც „სახელი გაითქვეს“ თბილისში, ლიტვისა და ბაქოში. შიმშილი და სეპარატობი კრახის მომასწავებელია, ამიტომ კრემლს დასჭირდება სულ უფრო მეტი საქართველოში მძაფრი რეპრესიებისათვის — ქალაქების ბლოკირება, მსუბუქი შეიარაღების გამოყენება, მომწამლავი ვაზები, სწრაფი გადაადგილება, ნიჩბებით ჩეხვა, დაპატიმრებები და გასაღლებები.

დასავლეთის პრესა მათ „შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარებს“ უწოდებს, მაგრამ მათი დაქვემდებარება შსს-ში მხოლოდ წმინდა ადმინისტრაციული ხასიათისაა. ის ჩამოყალიბდა 1918 წელს როგორც სუკის ნაწილი და ეწოდებოდა „გზის ჯარების ქვედანაყოფები“ და მთელი საბჭოთა ისტორიის მანძილზე ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობით იბრძოდა. ფაქტობრივად იგი პარტიის ცენტრალური აპარატის ჯარია და სითაც უბრძანებენ იქ მიემართება (დღეს აპარატს საბრეზიდენტო საბჭო ეწოდება).

„შინაგანი ჯარების“ ოფიციალური დანიშნულება სავსებით გამართლებულია: ისინი იბრძვიან იმისათვის, რასაც ლენინი შინაგანი მტრების წინააღმდეგ „საშინაო ომს“ უწოდებდა. ისინი იბრძვიან იქ, სადაც კრემლის მეუფე არ მიასა და მილიციის ვერ აზრებენ; მათი თავდაპირველი დანიშნულება — „საბჭოთა ხელისუფლების დაცვა ქვეყნის შიგნით“ — არ შეცვლილა.

ტიზანების წინააღმდეგ მხოლოდ 1950 წელს დასრულდა. ამ ჯარებმა 11 მსოფლიო ომის დასასრულს მთელი ხალხების დეპორტაცია მოაწვეეს ყირიმელი თათრების, კალმიკების, ჩეჩენების, ინგუშებისა და სხვა. ასე იქნებინებ გამოცილებას, რათა შემდეგ ათასობით პოტენციური მტერი გაენადგურებინათ ბალტიისპირეთსა და პოლონეთისათვის წართმეულ დასავლეთ უკრაინაში.

უკრაინაში, რუსეთსა და აღმოსავლეთ გერმანიაში ნაპოვნი სამხრეთისა და „შინაგანი ჯარების“ მიერ ატეხული ზოცვა-ქულების შედეგად, „შინაგანი ჯარებმა“ გაანადგურეს 5000 პოლონელი ოფიცერი, რომელთა გვამები კატინში იქნა აღმოჩენილი და 10000 სხვა, რომლებიც ვერ აღმოჩინეს. „შინაგანი ჯარების“ რიცხოვრივი რაოდენობა დღესაც საიდუმლოებითაა მოკლული. 1989 წელს მათი რაოდენობის ზოგიერთი ციფერი გამოჩნდა. ჯერ დაასახლეს 18000, რამოდენიმე კვირაში ეს ციფერი 36 ათასამდე გაიზარდა, შემდეგ 26 ათასი დაემატა. საერთო რიცხვი, ალბათ, 300 ათასი, თუ არ ჩავთვით დაცვისა და სახადრაგო ნაწილებს.

დასავლეთში: მოსკოვში, ლენინგრადსა და კიევი, შეხვედრებით „შინაგანი ჯარის“ ნაწილებს. მაგალითად, მოსკოვში დისლოცირებულია ძვირფასი სახ. მორტორიზებული დივიზია. შესაძინევა, თუ როგორ პატრულოვან ისინი ზიღებსა და სარკინიგზო კვანძებს, მაგრამ ვერ მიუახლოვდებიან, რომ დაინახონ, თუ როგორ იცვენ ისინი სტრატეგიულ ობიექტებს.

ქრონიკა

საქართველოს რესპუბლიკის მინისტროთა საბჭომ დაიწინა გელა გრიგოლის ძე ლეფავა საქართველოს რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომუშყეწელობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

რედაქტორი ვერა ბალარაივილი

რედაქციის მისამართი ქ. თბილისი — 380096. მ. კოსტავას ქ. № 14.

სალონებრილი კვრიული
Обществено-политическая молодежная газета
«Ахალгазდა Иверელი»

ტელეფონები: მისაღები — 98-97-81; პასუხისმგებელი მდივანი — 98-21-58; წერალების განყოფილება — 98-90-49.

გაზეთი გამოდის კვირასი საგზაო საშუალებით, ხუთშაბათს, შაბათს, რედაქციის შემოსული მისაღები ავტორებს უკან არ უბრუნდება.

საქართველოს კ. ცკ-ის ტანმა 380096, თბილისი-96, მ. კოსტავას ქ. № 14, აბეჭდება ოცხეტობი წესით საგაზეთო კორპუსში, მოზარდობის № 29 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15. Наш индекс 68400